სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

16 / აპრილი / 2025 წ.

KARR0143988648625

№ **1-1/22**

ბრძანება

ურეკი - შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებულ N26.01.48.353, N26.01.48.354, N26.01.48.016 და N26.01.48.043 საკადასტრო ერთეულებზე სასტუმროს ტიპის აპარტამენტების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2025 წლის 04 აპრილის № 491/12 განცხადებით მომართა შპს "გურია ინვესტ კაპიტალის" დირექტორმა ქალბატონ ანა შარაბიძემ შემდგომში: დაინტერესებული პირი). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა „ურეკი - შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებულ N26.01.48.353, N26.01.48.354, N26.01.48.016 და N26.01.48.043 საკადასტრო ერთეულებზე სასტუმროს ტიპის აპარტამენტების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების გაცემა".

დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (7 415 კვ.მ) განთავსებულია ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, მასზე ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საკურორტო ზონა 2 (შზ-7), სხვა სპეციალური ზონა (სპზ-2) და სანიტარული დაცვის ზონაში.

დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის განვითარება სასტუმროს ტიპის აპარტამენტების კომპლექსით, მასში შემავალი ყველა ფუნქციური ზონის დაშვებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, დანართი № 1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე სასტუმროს ტიპის აპარტამენტების კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული "სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 590 დადგენილების გათვალისწინებით.

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნას დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი № 1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულებისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი № 2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.

2. გაფორმებულ იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულ უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება და ხელშეკრულება ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბი წიკლაური